ასრულდა გადადებული ნატვრა, ერთი თვის შემდეგ, 18 აგვისტოს, კვლავ შემოაბიჯებს ჩვენს ცხოვრებაში მისი აღმატებულება— დიდი ფეხბურთი!



ლელო

17 - 20 ივლისი, 1993 წ.
№ 51 (10 839) ● ფასი 25 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე თავისუფალი საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო" შინ მიიღებს ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდს". ამ წყვილში გამარჯვებული „კბ კოპენჰაგენს" შეხვდება.

18 აგვისტოსთვის ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა ვემზადოთ ყველა. ვისაც ამ საფეხბურთო მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება ევალება და... რაღა თქმა უნდა, გულშემატკივრებიც. დიდი საფეხბურთო ციებ-ცხელება უკვე დაიწყო...

თბილისის „დინამოს" მეტოქე— „ლინფილდი"

თბილისის „დინამოს" მეტოქე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 1993-94 წლების გათამაშების საკვალიფიკაციო ჯგუფში — ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონი „ლინფილდი" (ბელფასტი) დაარსდა გასულ საუკუნეში — 1886 წელს. გუნდს ეწოდა ბელფასტის ერთ-ერთი გარეუბნის სახელი. იგი უძლიერეს კლუბად ითვლება ჩრდილოეთ ირლანდიაში.

„ლინფილდი" ჩრდილოეთ ირლანდიის 41-გზის ჩემპიონია: 1891-93, 95, 98, 1902, 04, 07-09, 11, 14, 22-23, 30, 32, 34-35, 49-50, 54-56, 59, 61-62, 66, 69, 71, 75, 78-80, 82-87, 89 და 93 წლებში. თასის 34-გზის მფლობელი: 1891-93, 95, 98-99, 1902, 04, 12-13, 15-16, 19, 22-23, 30-31, 34, 36, 39, 42, 45-46, 48, 50, 53, 60, 62-63, 70, 78, 80, 82, 83. გარდა ამისა, 18-ჯერ ითამაშა თასის ფინალში.

„ლინფილდი" მატჩებს ატარებს საკუთარ „უინძორ პარკის" სტადიონზე, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს. გუნდი თამაშობს ბრიტანელთათვის დამახასიათებელ ძალისმიერ ფეხბურთს. კლუბის ფორმის ფერებია: ცისფერი მაისურები და თეთრი ტრუსები. ბელფასტის ამ გუნდს არაერთგზის მიუღია მონაწილეობა ევროპულ ტურნირებში, თუმცა იგი დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, „ლინფილდის" საუკეთესო შედეგია ჩემპიონთა თასის 1966-67 წლების გათამაშების მეოთხედფინალში გასვლა. გუნდი ევროპულ თასებზე გამოდის 1960 წლიდან. ამ ხნის მანძილზე მან 17-ჯერ ითამაშა ჩემპიონთა თასზე, ორჯერ — თასების მფლობელთა თასზე და ამდენჯერვე ბაზრობათა და უეფას თასებზე. ასეთი „სტაჟის" მიუხედავად, გუნდის შედეგი საკმაოდ მოკრძალებულია: 49 თამაშიდან მოიგო 7 მატჩი, ფრედ დაამთავრა 12, წააგო — 30. ბურთების შეფარდებაა 51-108. აქედან ჩემპიონთა თასის მაჩვენებელია, შესაბამისად, 39, 4, 12, 23, 43-83. ჩემპიონთა ტურნირში გუნდის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები არიან: თომასი — 5 ბურთი, სკოტი და მაკგოხი — 4-4.

სხვადასხვა დროს კლუბის წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ: დ. ბემბრიკი, ბ. ჰამელტონი, რ. ირვინი, დ. ჯონსი, დ. პედენი, ს. იანგი...

„ლინფილდი" ჩემპიონთა თასის გათამაშებაში:

1959-60 — პირველი წრე. „გიოტებორგი" (შვეცია) 2-1 (მილლბერნი-2), 1-6 (დიქსონი).

1961-62 — პირველი წრე. „ფორვერტსი" (ბერლინი, გდრ) 0-3, მეორე შეხვედრაში „ლინფილდი" არ გამოცხადდა.

1962-63 — პირველი წრე. „ესბიორგი" (დანია) 1-2 (დიქსონი), 0-0.

1966-67 — პირველი წრე. „არისი" (ლუქსემბურგი) 3-3 (ჰამილტონი, სკოტი, პევისი), 6-1 (თომასი — 3, სკოტი — 2, პევისი). მეორე წრე. „ვოლერენგენი" (ოსლო, ნორვეგია) 4-1 (სკოტი, პევისი, თომასი, შილდსი), 1-1 (თომასი). მესამე წრე. ცსკა (სოფია, ბულგარეთი) 2-2 (ჰამილტონი, შილდსი), 0-1

1969-70 — პირველი წრე. „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) 0-8, 2-4 (მაკგროუ — 2).

1971-72 — პირველი წრე. „სტანდარდი" (ლიეჟი, ბელგია) 0-2, 2-3 (მაგი, ლარმური).

1975-76 — პირველი წრე. პსვ „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 1-2 (მელოუნი), 0-8.

1978-79 — პირველი წრე. „ლილესტრიომი" (ნორვეგია) 0-0, 0-1.

1979-80 — წინასწარი წრე. „დანდოლკი" (ირლანდია) 1-1 (ფიინი), 0-2.

1982-83 — პირველი წრე „17 ნენტორი" (ალბანეთი) 0-1, 2-1 (ანდერსონი, გიბსონი).

1983-84 — პირველი წრე. „ბენფიკა" (პორტუგალია) 0-3, 2-3 (დიამანტინო ავტოგოლი, უოლში).

1984-85 — პირველი წრე. „შემროკ როვერსი" (ირლანდია) 0-0, 1-1 (ჯეფრი). მეორე წრე. „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) 1-2 (ტოტი), 3-3 (მაკგოხი 2, მაქსველი).

1986-87 — პირველი წრე. „როსენბორგი" (ნორვეგია) 0-1, 1-1 (მაკკიაუნი).

1987-88 — პირველი წრე. „ლილესტრიომი" 1-1 (ბაქსტერი), 2-4 (მაკგოხი — 2).

1989-90 — პირველი წრე. „დნეპრი" (სსრკ) 1-2 (მუნი), 0-1.

მოამზადა **რამინ ყურაშვილმა.**

მეომრებისათვის...

თბილისის სპორტკომიტეტმა 50.000 კუპონი გაიღო აფხაზეთში მეომრების დასახმარებლად.

მილოცვა

ქ. თბილისის გაერთიანება „სპორტის სასახლის" შრომითი კოლექტივი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს გაერთიანების გენერალურ დირექტორს **თენგიზ ლომიძეს.**

• • •

ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს სპორტის დამსახურებულ ოსტატს **შოთა ჩოჩიშვილს.**

● **დასავლეთ** ევროპის ქვეყნებში ფეხბურთის მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გადასინჯვის უფლება არავის აქვს... მაგრამ საფრანგეთის წლევანდელ ჩემპიონატში ეს წესი დაირღვა. „ბორდომ" არბიტრის შეცდომის წყალობით გაიმარჯვა „ტულუზასთან". შეცდომა იმდენად აშკარა იყო, რომ მსაჯთა კომისიის პრეზიდენტმა მიშელ ვოტრომ მოითხოვა მატჩის გადათამაშება, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ამით კომისია პრეცედენტს არ ქმნისო.

● **გერმანიის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ბეკენბაუერის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონმაც. იგი თვლის, რომ 4 წლის მანძილზე ჩემპიონი შეიძლება შესამჩნევად დასუსტდეს და არ აღმოჩნდეს ფინალში თამაშის ღირსი.

● **იაპონიის** გაზეთ „იომიურის" ცნობით, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი ძრავამშენებელი ფირმის „ჰონდას" პრეზიდენტი ნაბუხიკო კავამოტო სერიოზულად განიხილავს „ინდიკარის" ამერიკულ სერიებში მონაწილეობის შესაძლებლობას. მისი აზრით „ფორმულა-1" ნელ-ნელა კარგავს ავტორიტეტს მანქანამშენებელ ფირმებში და უფრო საწარმოებს შორის შეჯიბრებას ემსგავსება, ვიდრე სპორტულს.

● **შარშან** გაზაფხულზე ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) დოპინგის გამოყენებისთვის ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა გერმანელ ასტრიდ შტრაუსს, თუმცა მისი დანაშაული ბოლომდე ვერ დაამტკიცა: ამჯერად ფედერაციამ ასტრიდ შტრაუსს სასჯელად თვრამეტთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანა, არადა, ბრალდება ახლაც ეჭვს იწვევს. გერმანიის ცურვის ფედერაცია მოითხოვს ამ სასჯელის გაუქმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დახმარებისთვის სამოქალაქო სასამართლოს მიმართავს.

რა ხდება ქვეყანაზე

● **წლეულს** ვისკონსინის შტატის (აშშ) ქალაქ მილუოკში ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სასწავლო ცენტრი ამერიკის მოციგურეთა ნაკრები გუნდის საჭიროებისთვის. ცენტრი აშენდა ერთ წელიწადში და დაჯდა 13,3 მილიონი დოლარი. იგი მოიცავს 400-მეტრიან დახურულ ბილიკს, ორ სარბ[illegible] ჰოკეისტებისთვის, აგრეთვე [illegible] ფიგურისტებისა და შორ[illegible]-ტრეკის წარმომადგენელთათვის.

● **როგორც** ცნ[illegible] გახდა საზღვარგარეთული [illegible] აგენტ[illegible]თვის, სულ მალე ტ[illegible] ნტი თხსნის თავის კანდიდატურ[illegible] 2001 წლის ოლიმპიადის ჩამტა[illegible] ელი ქალაქების სიიდან. ამას [illegible] ხოელი მიმომხილველები ხსნია[illegible] ეკონომიკური პირობების გაუარე[illegible] ით.

● **შარშან** ნოე[illegible] რში ბოუსთან მარცხის შემდეგ მაშინდელმა მსოფლიო ჩემპიონ[illegible] მძიმე წონის პროფესიონალ მოკრ[illegible] ვეთა შორის ევანდერ ჰოლიფილ[illegible] განაცხადა, რომ თავს ანებებს [illegible] ავს. მიმდინარე წლის დასაწყისშ[illegible] მან სიტყვა უკან წაიღო და მსო[illegible] ლიო ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა სიაში ხელახლა ჩაეწერა.

ივერიელი

საჯარიმო „ტრიუმფალური გასეირნების" თანხლებით

ქუთაისის განაპირა უბნის, „მწვანეყვავილას" ერთ-ერთ ეზოში ვეებერთელა თუთის ხეზე კასრის სალტე იყო მიმაგრებული. ხეს თუთით დახუნძლული ტოტი წამოშვეროდა. ოჯახის უფროსი ვის მოაჭრევინებდა მას, არადა, როგორ უშლიდა იგი შოთა ქორქაშვილს, კალათბურთის მომავალ ოსტატს. ურჩი ტოტი მართლაც „გაუვალი მცველივით" იყო აღმართული ცქვიტი ბიჭის მიერ ნატყორცნი ბურთების წინ. თუ ბურთი ტოტს მშვიდობიანად გადაევლებოდა, მაშინ, შეიძლება კალათში აღმოჩენილიყო...

საათობით ისროდა ბურთს პატარა შოთა. 10 წლისა მთლად გადაირია კალათბურთით. სკოლის სიახლოვეს, „სემეინი ბაღთან" იმხანად ქუთაისში ერთადერთი სპორტული დარბაზი იყო. იქ უფროსები თამაშობდნენ კალათბურთს — გივი კილაძე, ალეკო მესხი, ჯაჯა მამრიკიშვილი, კუკუსია ტყეშელაშვილი და სხვანი.

— იყო ერთი ჯახაჯუხი, — იგონებს შოთა ქორქაშვილი. — ასე მეგონა, დევები ერკინებოდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ ისე შეეჯახებოდნენ ერთურთს, კედელი ზანზარებდა.

ბიჭებს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით გივი კილაძე მოსწონდათ — საუცხოო გადაცემების და ტყორცნის ოსტატი, ძალზე ტექნიკური. ერთ დღეს წრიპა კარლო ხურციძემ, მწვანე ბაზრის გვერდით რომ ცხოვრობდა და, მიუხედავად მომცრო ტანისა, ყველაფერში პირველი იყო (სწავლაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ბილიარდში...) საიდუმლოდ ამცნო თანატოლებს, რომ ქუთაისში სპორტსკოლასთან ნორჩ კალათბურთელთა გუნდს აყალიბებდნენ. მეორე დღესვე მიიყვანა ბიჭები სპორტსკოლაში გივი კილაძესთან. ხურციძესთან ერთად იყვნენ ოთარ ქორქია, ბოჩიკო ქუთელია, ლელო ჟორჟოლაძე, დათო სირბილაძე, ოთარ სულაბერიძე, ლოსო ლოსაბერიძე და შოთა ქორქაშვილი. მწვრთნელმა შეამოწმა ახალბედები და იქვე გამოუცხადა, რომ ისინი დღეიდან ქუთაისის ბავშვთა გუნდის წევრები არიან და ყოველდღიურად უნდა ივარჯიშონ, რათა წარმატებით დაიცვან მშობლიური ქალაქის ღირსება საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე ბათუმში. შოთას დედამ — ქალბატონმა ინამ მთელ გუნდს მაისურებსა და ტრუსებზე აბრეშუმის თეთრი ზონარები მიუკერა, საგალანტერეო მაღაზიიდან რომ მოიტანეს ბიჭებმა.

დებიუტმა გაუმართლა ნორჩ ქუთაისელ კალათბურთელებს. მათ მესამე ადგილი დაიკავეს უმცროს ასაკში. მომდევნო წლის შეჯიბრება (საშუალო ასაკი) თბილისში გაიმართა. ქუთათურები აქ მეორენი იყვნენ, ერთი წლის შემდეგ კი საქართველოს დედაქალაქში უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს. გუნდი საკმაოდ გადახალისდა: ქორქიასთან და ქორქაშვილთან ერთად მიიღეს რამდენიმე ახალი მოთამაშე, მათ შორის მიხეილ (შაკია) გერაძეც, რომელიც მოგვიანებით თანაქალაქელ შოთა ვაჩაძესთან ერთად... თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი გახდა.

18 წლის გამთამაშებელი შ. ქორქაშვილი კარგი ტყორცნით, სისწრაფით, ტექნიკით გამოირჩეოდა და მწვრთნელებმა — ალეკო და შოთა მესხებმა იგი ქუთაისის „ნაუკას" მოზრდილთა გუნდში მიიწვიეს. იმ სეზონში (1939 წელს) როსტოვში საკავშირო პირველობა გაიმართა მესამე ჯგუფის გუნდებს შორის. აფიშები იუწყებოდნენ, რომ ასპარეზობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, სვერდლოვსკის, როსტოვის და სხვა ქალაქების გუნდები. აი, სწორედ ამ „სხვათა" წარმომადგენლნი — ქუთაისელი კალათბურთელები აღმოჩნდნენ უძლიერესნი და მეორე ჯგუფში გადავიდნენ.

მერე იყო ომი... კალათბურთისთვის ვიღას ეცალა. მხოლოდ 1945 წელს განახლდა ჩვენში სპორტული ასპარეზობანი. ვერის ბაღი საკავშირო ჩემპიონატს მასპინძლობდა მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. შ. ქორქაშვილი ამ დროს უკვე თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, თანაც ინსტიტუტის გუნდში ფეხბურთსაც თამაშობდა სპარტაკ ჯეჯელავასთან, ოთარ ლითანიშვილთან ერთად. დინამოელებმა, რომლებსაც იმხანად გამოცდილი მწვრთნელი შალვა დიასამიძე ავარჯიშებდა, პირველობა დაისაკუთრეს და უძლიერესთა რიგებში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

1946-1949 წლებში თბილისელი კალათბურთელები საკავშირო ჩემპიონატებში, როგორც წესი, მეორე-მესამე ადგილებზე გადიოდნენ — გადამწყვეტ მატჩებს აგებდნენ მოსკოვის „დინამოსთან" ან ბალტიისპირელთა რომელიმე გუნდთან.

და აი, 1949 წლის დამლევს საქართველოს დედაქალაქში გაიმართა საკავშირო თასის პირველი გათამაშება. დაუმარცხებლად იბრძოდნენ მხოლოდ ჩვენი დინამოელები და ტალინის „კალევი". ცხადია, სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს გადამწყვეტ მატჩში. მეტად დაძაბული პაექრობა გამოდგა, ქულა ქულას მისდევდა. მოედანზე იყვნენ ქორქია, კეკელიძე, ნიჟარაძე, თორთლაძე და ქორქაშვილი. ორი წამიღა რჩებოდა. დასანანად ვაგებდით — 21:22. გუნდის კაპიტანმა ქორქიამ ჯარიმა „მოიპოვა". თბილისელთა სნაიპერმა ქორქაშვილმა ჩააგდო პირველი ბურთი — 22:22 და... თანაგუნდელებმა უცებ ხელში აიტაცეს იგი და გახარებულებმა მთელი მოედანი შემოატარეს. ცნობილი მოსკოველი მსაჯი ვ. სინიაკოვი ამაოდ ბერავდა სასტვენში. როგორც იქნა, ძირს ჩამოსვეს. კვლავ ტყორცნა ქორქაშვილმა — ბურთი ფარს მოხვდა, კალათზე დაბზრიალდა და... ჩაეშვა — 23:22. ახლა მაყურებლები გადაეშვნენ მოედანზე და იმათ აიტაცეს ხელში № 5 მოთამაშე — ჩვენი გუნდის ყველაზე ტანდაბალი (1.74 მ) კალათბურთელი.

— უცებ ყველას გაგვახსენდა, რომ ორი წამი კიდევ რჩებოდა — იხსენებს შ. ქორქაშვილი — სტიოპას ბუტაუტასმა ელვის სისწრაფით გადააწოდა ბურთი თავის კაპიტანს ივან ლისოვს, ტყორცნა და ბურთი, ჩვენდა საბედნიეროდ, რგოლს მოხვდა... გადავრჩით!

ნავსი გატეხილი იყო. მომდევნო, 1950 წელს თბილისის „დინამომ" ვილნიუსში პირველად მოიპოვა საკავშირო ჩემპიონობა, კიევში კი კვლავ დაეუფლა თასს, რომელიც ერთი წლის შემდეგ ზედიზედ მესამედ და უკვე სამუდამოდ ჩამოიტანა მშობლიურ ქალაქში, ამჯერად ნევის ნაპირებიდან. ეს საპატიო ჯილდო დღესაც ინახება ჩვენი ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში.

...შოთა ქორქაშვილმა, 30 წელს მიტანებულმა, დაანება თავი კალათბურთს და 1950 წელს თავისი პროფესიით დაიწყო მუშაობა ინსტიტუტ „ჰიდროენერგოპროექტში" ინჟინერგეოლოგად. 11 წელი იმსახურა იქ, მერე კი ზუსტად ამდენი თბილისის სპორტის სასახლის დირექტორის მოადგილის — მთავარი ინჟინრის პოსტზე.

...ცოტა არ იყოს, გული სწყდება შვიდ ათეულ წელს მიღწეულ შოთა ქორქაშვილს, რომ შვილები მასავით სპორტსმენები არ გამოვიდნენ, თუმცა ვაჟიშვილი თემური ერთხანს წარმატებით მისდევდა ტანვარჯიშს — მოსწავლეთა შორის მთაწმინდის რაიონის ჩემპიონი იყო.

— ახლა უმცროსი შვილიშვილების იმედი მაქვს: რვა წლის მირიანს ჩოგბურთელობა აქვს განზრახული, თორმეტი წლის ზურაბი კი თავგამოდებული კარატისტია.

იქნებ, მართლაც გააგრძელონ ოჯახის სპორტული ტრადიცია...

ოთარ ნოზაძე

სურათზე: შოთა ქორქაშვილი უხსლტება ტალინის „კალევის" მცველს.
ფოტო „ლელოს" არქივიდან.

შეკითხვები პასუხებითურთ და... უპასუხოდ!

● **რატომ არ ტარდება დოღის სეზონი თბილისის იპოდრომზე? (ვ. სორდია, თბილისი).**

— აი, რა გვიპასუხა ამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ლაშა ჯაიანმა: „საბურთალოს მეტროს ხაზის მიწისქვეშა წყლებისგან განმტვირთავი კლოაკა იპოდრომის არენაზე გადის, რის გამო გადაითხარა საჭენებელი წრე. სამუშაოები შეჩერებულია, თუ იგი დროზე არ დამთავრდა, იპოდრომს კარგა ხნით ემუქრება „დაკონსერვება".

● **გთხოვთ, გამოაქვეყნოთ პრეტენდენტთა ტურნირში ნანა იოსელიანის პოლგარის წინააღმდეგ ნათამაშები პარტიები (ოთარ იმნაძე, ბათუმი).**

— „ლელოს" ჯერჯერობით არ გააჩნია კომპიუტერი, რის გამო გვიძნელდება თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული პარტიები გამოაქვეყნა გაზეთმა „რეზონანსმა".

● **ამას წინათ ერთ ოჯახში ჩემმა თანატოლმა ბიჭმა (მე 18 წლის ვარ), მაჩვენა ფოტოსურათი, რომელიც, ვფიქრობ, თქვენც დაგაინტერესებთ და მკითხველებსაც. თქვენ უკეთ გეცოდინებათ, სად და როდისაა გადაღებული ეს ფოტო (ვ. სულხანიშვილი, თბილისი).**



— ფოტო მართლაც უნიკალურია. ეს გახლავთ კადრი საფეხბურთო თემაზე შექმნილი კინორეჟისორ ნანა მჭედლიძის შესანიშნავი კინოფილმიდან „პირველი მერცხალი". მარცხნივ ბორის პაიჭაძეა, დგას ვასილ ჩხაიძე, მარჯვნივ ზის დოდო აბაშიძე, ზურგით — საშა ელიავა.

რედაქციაში შემოსული წერილებიდან...

● „**ჩვენს** კორპუსთან, გლდანში, არის პატარა სპორტული მოედანი, რომელიც დიდი ხანია გამოუყენებელია იმიტომ, რომ ბურთები აღარ იშოვება. ექვსმა ოჯახმა გადავწყვიტეთ ამ მოედანზე ავაშენოთ გარაჟები. ბავშვები იმუქრებიან, რომ „ლელოში" იჩივლებენ. ჩვენ წინდაწინ გაცნობებთ, რომ მოედნისთვის მომავალში, როცა აუცილებელი გახდება, სხვაგან გამოვნახავთ ადგილს".

● **დღეს** ბევრ ქვეყანაში აგებენ ხელოვნურსაფარიან ტრამპლინებს თხილამურებით ხტომისთვის. გთხოვთ გვიპასუხოთ, რატომ არ ვაგებთ ასეთ ტრამპლინს თბილისში, მით უმეტეს, როცა ბაკურიანში ზამთრის ტრამპლინებიც მწყობრიდანაა გამოსული?"

ინფორმაცია

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გალაქტიონ ჩიქოვანის ხსოვნის ტურნირში თბილისის, ბათუმის, ბაღდათისა და ქუთაისის მოზარდმა მოფარიკავეებმა იასპარეზეს. გუნდური თასი წილად ხვდათ მასპინძლებს — ქუთაისის ფარიკაობის სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის (დირექტორი გ. მეშველიანი) აღსაზრდელებს. პირად პირველობაში თავი გამოიჩინეს ანა დოლონაძემ, გოჩა ივანეიშვილმა (ორივე — ქუთაისი) და თბილისელმა როლანდ აფციაურმა. ტურნირის ორგანიზებულად ჩატარება განაპირობა სპონსორის — „ქარტია-91"-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის (თავმჯდომარე ა. ლოლაძე) თანადგომამ.

თეიმურაზ ურატაძე

ფიბას უსამართლო გადაწყვეტილების გამო

მძიმე თამაშგარე მდგომარეობაში

როგორც ჩანს, უეფა უფრო ოპერატიული და სამართლიანი ორგანიზაცია ყოფილა, ვიდრე კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა). ასეთი დასკვნის გაკეთების საბაბს გვაძლევს ამ ორი საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელთა პოზიცია საქართველოს სპორტსმენთა ევროპულ ტურნირებში მონაწილეობისადმი. უეფამ შეძლო თავისი ნაადრევი გადაწყვეტილების შეცვლა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები დაუშვა ჩემპიონთა თასზე. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ კი ევროპული ტურნირების მიღმა დატოვა ჩვენი ექვსი გუნდი — ოთხი კორაჩის (თბილისის „მერანი", „დინამო", „შევარდენი" და „რუსთავის „აზოტი") და ორი ჩემპიონთა თასზე („ვითა" — ვაჟებში, ტექნიკური (უნივერსიტეტი — ქალებში) მოასპარეზე. ამასთან დაკავშირებით „ლელოს" კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს.

● **ბატონო როლანდ! შარშან ვმონაწილეობდით ევროპულ ტურნირებში, ოღონდ შინ არ ჩაგვიტარებია მატჩები. მაგრამ მაშინ ამ სიტუაციას ჰქონდა ალბათ გამართლება...**

— შარშან საქართველოს გუნდები ევროპის ტურნირებში ივლისში დაუშვეს, მერე ჩვენთან აფხაზეთის კონფლიქტი დაიწყო და ფიბამ მისთვის მისაღები გადაწყვეტილება მიიღო, რასაც ჩვენც დავეთანხმეთ. სწორედ ამიტომ, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ წლეულს ასე ვერაგულად მოგვექცეოდნენ.

● **რა არის, თქვენი აზრით, ამის მიზეზი?**

— კალათბურთის ფედერაციამ მექანიკურად გადმოიღო უეფას პირვანდელი სანქცია, ოღონდ მერე მდგომარეობის გარკვევით თავი აღარ შეიწუხა.

● **რა მიზეზები იყო კონკრეტულად დასახელებული ფედერაციის დეპეშაში?**

— უსაფრთხოების გარანტიის უქონლობა, ორგანიზაციული და კომუნიკაციური სირთულეები. მაგრამ, გეკითხებით, როგორ უნდა მიგვეცა ფიბასთვის გარანტიები, როცა ასეთი რამ არ მოუთხოვიათ.

● **საინტერესოა, როდის მოვიდა ოფიციალური დეპეშა თბილისში და ვინ აწერდა ხელს ამ დოკუმენტს?**

— დეპეშას ხელს აწერდა ფედერაციის გენერალური მდივანი ბორისლავ სტანკოვიჩი. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ დოკუმენტი თბილისში მოვიდა 10 ივლისს, კენჭისყრა კი, ცხადია, უჩვენოდ, უკვე ჩატარებული იყო. 10 ივლისი შაბათი გახლდათ, ასე რომ, დოკუმენტი მხოლოდ 12-ში, ორშაბათს ჩავიბარეთ.

● **რა მოხდებოდა, ადრე რომ გაგვეფრთხილებინეთ?**

— ჯერ ერთი, გარანტიებს გავგზავნიდით, უკიდურეს შემთხვევაში კი ნეიტრალურ მოედანზე თამაშს დავთანხმდებოდით. ერთი სიტყვით, ყველაფერს ვილონებდით, რომ წელი არ გაგვცდენოდა.

● **როგორი ფინალი აქვს ამ უსიამოვნო ისტორიას?**

— ფიბას გენერალურ მდივანს გავუგზავნეთ პროტესტის წერილი, სადაც ფედერაციას ვუსაყვედურეთ გულგრილობა, ზერელე დამოკიდებულება და მოვუყვანეთ უეფას მაგალითი, რომელმაც თავისი შეცდომის ვაჟკაცურად აღიარებაც შეძლო და მდგომარეობის გამოსწორებაც. იმის გამო, რომ კალათბურთის ფედერაციამ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი წინასწარი შესწავლის გარეშე მიიღო და დროულად არ ჩაგვაყენა საქმის კურსში, ფაქტობრივად, უპრეცედენტო გადაწყვეტილება გამოიტანა, რაც ასეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციას არ ეკადრება.

ფეხბურთი ჩრდილოეთ ირლანდიაში

ჩრდილოეთ ირლანდია (ოლსტერი) დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ ქვეყნის საფეხბურთო ფედერაცია (ირიშ ფუტბოლ ასოშიეიშნ) შეიქმნა ჯერ კიდევ 1880 წელს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია 1946 წლიდან, მაგრამ აქაური პროფესიული ლიგა ჩამოყალიბდა გასულ საუკუნეშივე, 1890 წელს.

ქვეყნის საფეხბურთო კლუბები დაახლოებით 12-13 ათას ფეხბურთელს აერთიანებენ, სეზონი იწყება აგვისტოში და მთავრდება მაისში, ტრადიციულ შეჯიბრებათაგან დიდი პოპულარობით სარგებლობს თასის გათამაშება („მოიოლა პარკი“). ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს 12 კლუბი, გათამაშება ეწყობა კლასიკური ფორმულით — ორ წრედ. ქვეყნის საუკეთესო კლუბებია „ლინფილდი“, „გლენტორანი“, „დისტილერი“ „გლენავონი“ და სხვ.

აქაური საუკეთესო ფეხბურთელები თამაშის სტილით ძალიან წააგვანან ინგლისელებს, ოლსტერის უძლიერესი მოთამაშეები უმეტესად ინგლისის კლუბებშიც გამოდიან, მათგან აღვნიშნავთ სხვადასხვა დროის ცნობილ ოსტატებს: ბლენჩფლაუერს, კელის, გრეგს, მაკ-ილროის, დუგანს. საგანგებოდ გამოვყოფთ ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ბრწყინვალე ვარსკვლავს ჯორჯ ბესტს (დაიბადა 1945 წელს), რომელიც დიდი ხნის მანძილზე გამოდიოდა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“ და, რა თქმა უნდა, თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც. ამ მკაფიო ინდივიდუალობის მქონე ფეხბურთელის ორიგინალური ფინტები და დრიბლინგი ლეგენდად დარჩა საერთაშორისო ფეხბურთში.

ჩრდილოეთ ირლანდიის უდიდესი სტადიონები განლაგებულია ადმინისტრაციულ ცენტრ ბელფასტში: „ვინძორ პარკი“ (50 ათასი ადგილი), „ოვალი“ (35 ათასი ადგილი), „კლინტონვილი“ (30 ათასი ადგილი).

ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნული ნაკრების მიღწევებიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ მას კარგი მაჩვენებლები აქვს დიდი ბრიტანეთის ტრადიციულ ჩემპიონატში, სადაც არაერთხელ მოუპოვებია ჩემპიონის წოდება. ამ ქვეყნის ნაკრები სისტემატურად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატებშიც, 1958 წელს მან ფინალური ეტაპის მეოთხედფინალსაც კი მიაღწია, სადაც წააგო საფრანგეთის ნაკრებთან 0-4, ხოლო 1982 წელს ესპანეთში ფინალური გათამაშების მეორე ეტაპზე კვლავ ფრანგებთან დამარცხდა — 1-4.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ჩრდილოეთ ირლანდიის ჭაბუკ ფეხბურთელებს ევროპულ სარბიელზე, მაგრამ შემდგომში ისინი, ჩვეულებრივ, ინგლისის კლუბებში გადადიან, ევროპის საკლუბო ტურნირებში კი აქაურ გუნდებს რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი წარმატებები ჯერ არ მოუპოვებიათ.

ევროპის საკლუბო გათამაშებებში თითქმის ყოველ წელს ჩრდილოეთ ირლანდიის ერთი და იგივე გუნდები გამოდიან. მოვიყვანთ ბოლო 3 წლის მაჩვენებლებს:

1990 წელი. ჩემპიონთა თასი. „პორტდაუნი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — „პორტო“ (პორტუგალია) — 1-8, 0-5; **თასების თასი.** „სტიაუა“ (რუმინეთი) — „გლენტორანი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) 5-0, 1-1. **უეფას თასი.** „ბორდო“ (საფრანგეთი) — „გლენავონი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — 2-0, 0-0.

ჩრდილოეთ ირლანდიის [illegible] გუნდი პირველივე ეტაპზე გამოეთიშა გათამაშებას, ასე მოხდა მომდევნო წლებშიც.

1991 წელი. ჩემპიონთა თასი. „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „პორტადაუნი“ — 4-0, 4-0; **თასების თასი.** „გლენავონი“ — „ილვესი“ (ფინეთი) — 3-2, 1-2, გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდებით გამარჯვება წილად ხვდათ ფინელ ფეხბურთელებს; **უეფას თასი.** „სიგმა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ბანგორ სიტი“ — 3-0, 3-3.

1992 წელი. ჩემპიონთა თასი. „გლენტორანი“ — „მარსელი“ (საფრანგეთი) — 0-5, 0-3; **თასების მფლობელთა თასი.** „გლენავონი“ — „ანტვერპენი“ (ბელგია) — 1-1, 1-1, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვეს ბელგიელებმა — 3-1.

წითელ-ყვითელი ბარათები დაარიგა, სამაგიეროდ ფიფას ალმები მიიღო



Naam: Malaguradze, Merab

Nationaliteit: GEORGIA

Sport / Functie: REFEREE/JUDGE

Nr.: 2567

ნესტორ ჩხატარაშვილი, ოტია ყორდანია, ილია ბოქორაძე, გიორგი ბაქანიძე, კარლო ყრუაშვილი, მევლუდ მიმონიშვილი... ქართველ არბიტრთა ამ პლეადამ საქვეყნოდ კი გაითქვა სახელი, მაგრამ ერთი იყო გულდასაწყვეტი: ისინი სსრ კავშირის სახელით გამოდიოდნენ.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. მეოთხე წელია, ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ჩვენი გუნდები ნელ-ნელა, ნაბიჯნაბიჯ იკაფავენ გზას ევროპისკენ, ქართველ მსაჯებს კი ვერა და ვერ ვხედავდით საერთაშორისო სარბიელზე. და აი, ნავსიც გატყდა.

როგორც „ლელო“ იუწყებოდა, ჰოლანდიის ქალაქ ვალკენსვაარდში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების პროგრამით ჩატარებული ფეხბურთელთა ტურნირის მომსახურებისთვის მიიწვიეს ქართველი არბიტრიც. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არჩევანი მერაბ მალაღურაძეზე შეაჩერა.

მერაბ მალაღურაძე — ეროვნული კატეგორიის მსაჯი, წარდგენილია „ფიფას არბიტრის“ წოდებაზე. დაიბადა 1965 წელს, მოსამსახურე, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მერაბ მალაღურაძეს ჰოლანდიიდან ჩამოსვლისთანავე შევხვდით და ვთხოვეთ გაეზიარებინა შთაბეჭდილებები:

— ფეხბურთელთა ტურნირს ვალკენსვაარდში ჩემს გარდა 7 არბიტრი ემსახურებოდა — თითო-თითო შეჯიბრების მონაწილე ქვეყნებიდან. მათგან ექვსს უკვე მიღებული ჰქონდა „ფიფას არბიტრის“ წოდება. ისინი საკმაოდ კვალიფიციურ, ავტორიტეტულ მსაჯებად ითვლებიან ევროპაში. მათ შორის იყო ესპანელი ლოპესიც კი, რომელმაც ამას წინათ ქვეყნის თასის ფინალი („რეალი“—„ბარსელონა“) იმსაჯა.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა კეს დე ბრაუნმა, უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრმა თამაშების დაწყებამდე ყველა არბიტრი შეგვკრიბა და გაგვაცნო შეჯიბრების დებულება, ჩაგვიტარა თეორიული მეცადინეობები.

ვალკენსვაარდში ორი მატჩი ვიმსაჯე. ჰოლანდია-ისლანდიის შეხვედრის წინ, გამოგიტყდებით, ვღელავდი. მეგონა, გამიჭირდებოდა. ნებისყოფა მოვიკრიბე, თავიდანვე პრინციპულობა გამოვიჩინე — გავაფრთხილე 4 ჰოლანდიელი და 2 ისლანდიელი, რამაც მყისვე დააშოშმინა უზომოდ გაცხარებული მოთამაშეები. მატჩის სადავეები არც შემდეგ გამიშვია ხელიდან. გასახდელში კმაყოფილი დავბრუნდი. თამაშზე დამსწრე ოფიციალურმა პირებმა მაღალი შეფასება მომცეს, რაც შეჯიბრების პრეს-ბიულეტენშიც აისახა.

ფინალური სტადიის მატჩზე მალტისა და ლუქსემბურგის გუნდებს შორის მოედანზე უკვე აუღელვებელი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული გამოვედი. აქაც დამჭირდა სიმკაცრე „ბინძური“ თამაშის ალსაკვეთად — გავაფრთხილე 2 მალტელი და 1 ლუქსემბურგელი, ამასთან, უხეში თამაშისთვის მოედნიდან გავაძევე ლუქსემბურგელი მოთამაშე. ეს ერთადერთი გაძევება იყო ტურნირზე. მატჩის შემდეგ გაძევებულმა მომძებნა და ბოდიში მომიხადა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ კეს დე ბრაუნმა მოწონების ნიშნად ფიფას ორი ალამი მაჩუქა და დასძინა „გუდ რეფერი!“

საერთოდ, საზღვარგარეთ ფეხბურთელები უფრო დისციპლინირებულნი არიან. თუ კაცი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს მსაჯობს, მისთვის პრობლემა არ უნდა იყოს საერთაშორისო მატჩების მომსახურება.

ჩაიწერა **ჯემალ ჭიპაშვილმა.**

ვინ იქნება ის „კეთილი ძია“

ბულგარეთის ქალაქ პაზარჯიკში გამართულ იუნიორ თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირის შემადგენლობას ვერ დაიწუნებდით, რადგან იქ სპორტის ამ სახეობის მართლაც რომ ელიტა იყო წარმოდგენილი. უფრო ზუსტად, ის ქვეყნები იბრძოდნენ, რომელთაც თანამედროვე ხუთჭიდში დიდი ტრადიციები აქვთ. ჯერ მარტო უნგრეთისა და იტალიის წარმომადგენელთა გამოსვლა უნდა იყოს ბევრის მეტყველი სპორტის მოყვარულთათვის, რადგან იქაური ხუთჭიდელები დღეს ნებისმიერი რანგის შეჯიბრებას ამშვენებენ.

მათთან ერთად გამარჯვებისთვის იბრძოდნენ უკრაინის, ბულგარეთის, მოლდოვას, ყირგიზეთის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები — სულ 15 გუნდი.

ასპარეზობას სიმძაფრეს მატებდა ის, რომ იგი „ა“ კლასისა გახლდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე გუნდი შეძლებდა 14 ათასი ქულის დაგროვებას, მას გზა ეხსნებოდა მომავალი მსოფლიო პირველობისკენ, რომელიც წელს, 1-6 ოქტომბერს გაიმართება შვეიცარიაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი დინამოელი სამეულისთვის (დავით დათუაშვილი, თემურ ბალაკარი, იგორ პუტილცევი) ტურნირი ერთგვარი სასინჯი ქვა გახლდათ საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად და დებიუტანტებმა პირნათლად შეასრულეს პროგრამა-მინიმუმი — მათ საერთო ჩათვლაში VII ადგილი დაიკავეს და საგრძნობლად გადააჭარბეს „ჩასათვლელ“ ქულათა რაოდენობას.

საგულისხმოა, რომ საქართველოს წარგზავნილები ბოლო სახეობამდე (საცხენოსნო კონკური) მესამე საპრიზო ადგილს ინარჩუნებდნენ, მაგრამ... ამჯერადაც, რაც ხშირად ხდება ხუთჭიდში „საქმეში ჩაერია“ წილისყრა, რომელმაც აშკარად არ დაინდო ჩვენი იუნიორები — ურჩი ცხენები არგუნა, სათანადო ქულები „ველარ მოგროვდა“ და ხელიდან გაუშვეს პრიზიორობა. მათ შორის საუკეთესო შედეგი — 5. 149 ქულა ანუ X ადგილი დ. დათუაშვილის წილად მოდის.

გამარჯვება კი უკრაინელ სპორტსმენებს დარჩათ, პირად პირველობაშიც უძლიერესი იყო მათი წარმომადგენელი გიორგი ჩემელისი — 5. 495 ქულა.

ახლა საქართველოს ხუთჭიდელთა მსოფლიო პირველობაზე გამგზავრება დამოკიდებულია სპონსორზე. შვეიცარიაში გასამგზავრებელ ხარჯებს რომ გაიღებს. ვინ იქნება ის „კეთილი ძია“, რომელიც ხელს გაუმართავს ჩვენს იუნიორებს?

უშანგი ჭიჭინაძე

◆ ◆ ◆

მოკლედ

„ბეიმი-90“ — ასე ეწოდება სპორტულ კლუბს, რომლის პირველობა ამას წინათ გაიმართა თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტის სპორტულ ბაზაზე. იასპარეზა 1980-84 წლებში დაბადებულმა 22 ნორჩმა ჩოგბურთელმა. უმცროს ასაკში გაიმარჯვა ლადო წერეთელმა, უფროსებში — მიშა მალახოვმა.

ბიჭი ლუკაშვილი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **რიო-დე-ჟანეირო.** „სან-ჟანუარიოს“ სტადიონზე, გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ბრაზილიისა და პარაგვაის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 2-0, ორივე ბურთი მათ თამაშის მიწურულს გაიტანეს: ბრანკომ 82-ე წუთზე, ბებეტომ 90-ე წუთზე.

● **კოპენჰაგენი.** დანიის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ოდენსე“ და „ალბურგი“. გაიმარჯვა „ოდენსემ“ — 2-0, ბურთები გაიტანეს ელსტრუპმა და ჰანსენმა. „ოდენსე“ იძულებული იყო 10 მოთამაშით დაემთავრებინა თამაში, ვინაიდან მინდვრიდან გააძევეს მისი ფეხბურთელი სინგლადი.

● **დუბლინი.** ირლანდიის თასის ფინალში, „შელბურნსა“ და „დანდალკს“ შორის, ანგარიშით 1-0 გაიმარჯვა „შელბურნმა“, ბურთი გაიტანა გრეგ კასტელომ.

თბილისის დინამოელ ზურაბ წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ამ ტურნირის თაოსანი საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“ გახლდათ. შეჯიბრებაში 1981-82 წლებში დაბადებულმა მოზარდმა ფეხბურთელებმა იასპარეზეს.

ფინალში „სიხარული-98“-მა პენალტების სერიაში აჯობა „მთვარის გლობუსს“ — 5-4 (ძირითადი დრო 1-1). გამარჯვებულებს წვრთნიან გივი და იუზა წილოსნები.

სურათზე: „სიხარული-98“.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

ცოდვილია „ოლიმპიკი“. ცოდვილია სხვაც ბევრი

საფრანგეთის სპორტული წრეების ყურადღების ცენტრში კვლავინდებურად დგას მარსელის საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის“ საქმე. ეს გუნდი საფრანგეთის ჩემპიონი გახლავთ, მაგრამ გამჟღავნდა ის მაქინაციური კომბინაცია, რაც დაკავშირებულია მისი მეტოქის „ვალენსიენის“ მოთამაშეთა მოსყიდვასთან.

ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი, მარსელელთა ნახევარმცველი ჟან-ჟაკ ედელი უკვე დააპატიმრეს და დაკითხვისას მან აღიარა, რომ თავისი კლუბის გენერალური დირექტორის ჟან-პიერ ბერნესის დავალებით მართლაც შუამავლობდა „ვალენსიენის“ სამ ფეხბურთელთან. ამ შუამავლობის საფასურად მას დაპირდნენ გუნდის ძირითად შემადგენლობაში გამოყვანას იტალიის „მილანთან“ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ შეხვედრაში. მართლაც ჟ.-ჟ. ედელი წინასწარ დაკითხვებზე კატეგორიულად უარყოფდა თავის მონაწილეობას ამ მოლაპარაკებაში, მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ მოსყიდვის ფაქტი პრაქტიკულად დადასტურდა. მარსელელი ფეხბურთელის ვექილმა პატრიკ ლეფევრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დაკითხულთა აღიარებები ამ საკითხზე ერთმანეთს ემთხვევა გარდა მარსელის „ოლიმპიკის“ გენერალური დირექტორის ჩვენებისა.

ფრანს-პრესის სააგენტოს ცნობით, ჟ.-ჟ. ედელიმ განაცხადა: „გასაკვირი აქ არაფერია, მეტოქის მოსყიდვა ფართოდ გავრცელებულია საფრანგეთშიც და, საერთოდ, ევროპის სხვა ქვეყნების ფეხბურთშიც“.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს დიდი სკანდალია, მაგრამ ფრანგი გულშემატკივრების სიმპათიები ამით „ოლიმპიკის“ მიმართ არ შენელებულა — როგორც საზოგადოებრივმა გამოკითხვამ ცხადყო, მათ 59 პროცენტს საჭიროდ მიაჩნია „ოლიმპიკი“ დარჩეს საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში მაშინაც კი, თუ დამტკიცდება მისი ხელმძღვანელობის დანაშაული. გარდა ამისა, ფრანგ გულშემატკივართა მეტ წილს მიაჩნია, რომ მარსელის „ოლიმპიკის“ საკითხი ზედმეტად გაზმაურდა.

ფეხბურთელები მზად არიან, მაგრამ...

მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, შესაძლოა, ამხანაგური მატჩი გამართონ იტალიის განთქმულ „მილანთან“. მოლაპარაკების წინასწარ ეტაპზე ითქვა, რომ ასეთი შეხვედრა სასურველია გაიმართოს „მილანის“ მინდორზე.

ეს მატჩი საქველმოქმედო უნდა იყოს — მოგების დიდი ნაწილი გადაეცემა ჩერნობილის კატასტროფით დაზარალებულ ბავშვებს.

მაგრამ ჯერ ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის. საქმე ისაა, რომ იტალიაში გასამგზავრებლად მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელებს დაჭირდებათ საგანგებო ავიარეისი, მისი ხარჯები კი 11 ათას დოლარზე მეტია. ეს საგრძნობი თანხა გახლავთ მინსკელთა გუნდისთვის.

კავკასიის ბანკი

სასაფეხურო
სავალუტო
სუპერანაბარი
ივლისის ბოლომდე
მინიმალური თანხა, რომლითაც შეიძლება
ანგარიშის გახსნა
100 დოლარია!

სუპერ-ანაბრის გახსნა შეუძლიათ კერძო და იურიდიულ პირებს
ერთიდან სამ წლამდე ვადით.
დღევანდელ ვითარებაში ჩვენი პირობები ძალიან ხელსაყრელია:
— ერთწლიანი ანაბრის სარგებელი — 35 პროცენტი
— ორწლიანის — 60 პროცენტი (წელიწადში 30 პროცენტი)
— სამწლიანის — 75 პროცენტი (წელიწადში 25 პროცენტი.
სარგებელი გაიცემა წელიწადში ერთხელ.

სუპერ-ანაბრის გახსნა შეიძლება „კავკასიის ბანკის“ სალაროში —
(ვაჟა-ფშაველას, 72)
ტელ. 30-08-31, 30-13-68.
აგრეთვე გორში, „კავკასიის ბანკის“ ფილიალში, რუსთაველის 13.
ტელ: 2-24-69.
შეგახსენებთ:
თქვენი ვალუტა საიმედო ხელშია!

„კავკასიის ბანკი“

სააგენტო „ტელე“ ინფორმაცია

ზაზა ჭოლოკავა

საქართველოს ერთიანობისთვის ომში კიდევ ერთი სიცოცხლე დაიფერფლა — უთანასწორო ბრძოლაში დაეცა სამშობლოზე, ოჯახსა და მეგობარ-ამხანაგებზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა, რომელმაც მხოლოდ 25 წელი იცხოვრა.

ზაზა ჭოლოკავამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტი დაამთავრა. რუსთავის მკვიდრს ბუნებრივია, ეს საქმე იტაცებდა, მაგრამ ომმა თავისი მოითხოვა, სამართლიანი ბრძოლა კი მისი სტიქია იყო. კრივიც ამიტომ შეიყვარა — 20 წელს მიტანებულმა პირველად ჩაიცვა ხელთათმანი და მალე მიაღწია წარმატებებს — გახდა „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონი, რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშებისა და საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ბოლოს მძიმე წონის ოსტატობის კანდიდატმა კიკბოქსინგში თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირის აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულის წოდებაც მოიპოვა.

25 წლის ჩადგა იგი სამშობლოს ერთიანობისთვის მებრძოლთა რიგებში, ოთხი თვე იომა, მეტი არ დასცალდა. არაერთი უძილო ღამე გაატარა იარაღით ხელში აფხაზეთის მიწაზე მტრის დასახვედრად. როგორც კი დროს იპოვნიდა, თანამებრძოლებს კრივის ილეთებს ასწავლიდა, იქნებ ომში ესეც გამოგადგეთო. ხანმოკლე შვებულებით ორჯერ მოასწრო რუსთავში მშობლების მონახულება, კრივის დარბაზშიც შეიარა. მესამედ აღარ დასცალდა...

ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და თან გაიყოლა თანამებრძოლების, თანაგუნდელების, ნათესავ-ახლობლების სიყვარული. ნათელში ამყოფოს უფალმა.

საქართველოს კრივის ფედერაცია

ინფორმაცია

● **პროფესიონალ** ჩოგბურთელთა ყოველკვარტალურმა ბიულეტენმა დაბეჭდა რამდენიმე საინტერესო ცნობა წლევანდელი ტურნირების შესახებ. „დიდი სლემის“ პირველივე შეჯიბრებაში — ავსტრალიის ღია ჩემპიონატში — თურმე სამი ორიგინალური რეკორდი აღნიშნულა: პირველი რეკორდი მატჩის ხანგრძლივობას ეხება— რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) და მარკუს ცოკე (გერმანია) ერთმანეთთან ურთიერთობას არკვევდნენ... 5 საათისა და 3 წუთის მანძილზე. მეორე და მესამე რეკორდების ავტორები გახდნენ გერმანელი მიჰაელ შტიხი და იუგოსლაველი მონიკა სელეში. ამ ჩოგბურთელთა ერთ-ერთი მოწოდების დროს ბურთმა სარეკორდო სისწრაფე განავითარა. მიჰაელ შტიხის დარტყმის წყალობით რეკორდმა საათში 200 კილომეტრს მიაღწია. ასევე სარეკორდოა სელეშის მაჩვენებელი — 163 კმ საათში.

● **ამერიკელმა** სუპერვარსკვლავმა, თანამედროვეობის ერთ-ერთმა უძლიერესმა სპრინტერმა კარლ ლუისმა განაცხადა, რომ ამიერიდან მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ აფრიკაში გამართულ ყველა ტურნირში თუკი, ცხადია, მიიწვევენ. სპორტსმენის განცხადებით ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებამ გადახედა თავის დამოკიდებულებას აპარტეიდისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტკომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

ანზორ (ლერი) ჭიჭინაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს სეოკის პრეზიდენტს ნონა გაფრინდაშვილს მეუღლის — ანზორ ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ნონა გაფრინდაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ანზორ ჭიჭინაძის პანაშვიდი შედგება 20 და 21 ივლისს განსვენებულის ბინაზე, ჭავჭავაძის, 14, ბ. 13. 17 საათზე. დაკრძალვა 22 ივლისს 15 საათზე.

თუ გახსოვს, რა გქვია, სად ხარ ამჟამად?..

თუ დოუქსს ნოკაუტი უნდა...

სამიოდე თვის წინ რიდიკ ბოუმ პირველად დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კრივში მას შემდეგ, რაც ევანდერ ჰოლიფილდი დაამარცხა. ალბათ გახსოვთ, ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ მან პირველსავე რაუნდში აჯობა მაიკლ დოუქსს. მაშინ ამ ორთაბრძოლის ირგვლივ უამრავ, ერთმანეთის საწინააღმდეგო და გამომრიცხავ ამბებს ჰყვებოდნენ. დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს შემოგთავაზოთ უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ სკანდალური მატჩის შესახებ.

ბოუმ რომ ჰოლიფილდი დაამარცხა (შარშან ნოემბერს), 110 კილოგრამს იწონიდა. დოუქსთან შეხვედრის წინ მისი წონა 113 კგ. და 600 გრამი იყო. ამან იმდენად ალაშფოთა მაიკ ტაისონი, რომ ჩემპიონს ციხიდან წერილი მისწერა (ტაისონი და ბოუ დაიბადნენ და გაიზარდნენ ნიუ-იორკში, კერძოდ, ბრონქსში და ამის გამო ისინი თავს ერთმანეთის ახლობლებად თვლიან). ექსჩემპიონი ბოუს სწერდა: „გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ ასე დამძიმებულხარ. მრცხვენია შენს მაგივრად თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი კერპი ხარ. გამიგე, შენი ტიტული არ არის შენი საკუთრება. შენ, უბრალოდ, დროებით ინათხოვრე იგი. შენზე, და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, რამდენ ხანს იქნები ჩემპიონი. თუ თავს მოუვლი, წონას შეინარჩუნებ და არ დაკარგავ ფორმას, სიამოვნებას გაიგრძელებ. მჯერა, რომ არა ხარ უჭკუო და გაიგებ ამას. არ დაგავიწყდეს, გარეთ რომ გამოვალ, იქნებ მოგვიწიოს კიდეც ერთმანეთთან შეხვედრა. ამისთვისაც მზად უნდა იყო“.

ამ საკმაოდ გონივრულ მიმართვას ბოუ სკეპტიკურად შეხვდა. მან, ცხადია, არც ის დაიჯერა, რომ ციხეში მყოფი ტაისონის კერპი გახდა და არც ის, რომ მათ ოდესმე მოუწევთ შეხვედრა. „მე ოცდახუთი წლისა ვარ, განაცხადა ჩემპიონმა, თავს კარგად ვგრძნობ და წონაც სრულებით არ მაწუხებს. თანაც, არა მგონია, დოუქსზე უფრო დიდი ლიპი მქონდეს“.

ასეა თუ ისე, შეხვედრის წინ ბოუ უდავო ფავორიტად ითვლებოდა. 34 წლის დოუქსის წარმატებისა არავის სჯეროდა და ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ მეტოქეთა შანსები საკმაოდ კონტრასტული შეფარდებით ფასდებოდა — 16:1.



ეს პროგნოზი გამართლდა კიდეც. ბოუმ პირველსავე რაუნდში წამოიწყო მწვავე შეტევა, განახორციელა რამდენიმე დარტყმა და უკვე 90-ე წამზე არბიტრი ჯო სანტარპია ჩაერია საქმეში. დოუქსი შვიდ დათვლაზე გამოფხიზლდა, მაგრამ ისევ „გაუშვა“ ორი უძლიერესი დარტყმა და რინგის ბაგირს გადაეკიდა. არბიტრმა ჯერ გააგრძელა ბრძოლა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი ტრაგიკულად შეიძლებოდა დამთავრებულიყო, შეწყვიტა „ცალ კარში თამაში“. ეს მოხდა პირველი რაუნდის დამთავრებამდე 41 წამით ადრე.

„მედისონის“ ტრიბუნებმა, ბუნებრივია, უკმაყოფილება გამოხატეს. ბრძოლის ასე ადრე დამთავრებას არავინ ელოდა. ყველაზე უფრო მეტად გაცეცხლებული იყო დოუქსი:

— ასეთი დაბალი კვალიფიკაციის მსაჯი არასდროს მინახავს. მან ისე შეწყვიტა ბრძოლა, არც კი მოუცია ტრადიციული შეკითხვები: „სად იმყოფები ამჟამად“, „რა გქვია“ ან „რომელი რაუნდია ახლა“. უამისოდ მას არ ჰქონდა უფლება დამარცხება ჩაეთვალა ჩემთვის. მე მატჩ-რევანშს მოვითხოვ. თუ უარს მეტყვიან ამაზე, მაშინ ოფიციალურად დავაყენებ საკითხს გამოძიების თაობაზე.

არბიტრი ჯო სანტარპია:

— დათვლა არ დავიწყე იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. დოუქსს თვალებზე ეტყობოდა, რომ დაკარგა ორიენტაცია, რეალობის შეგრძნება. ეს გასაკვირი არც არის — სულ რაღაც 2 წუთის განმავლობაში ოცამდე უძლიერესი დარტყმა მიიღო თავის არეში. ამის გამო რისკის უფლება აღარ მქონდა.

რიდიკ ბოუ:

— მის თვალებში ენით აუწერელი შიში დავინახე. ასეა, როცა მოკრივე გრძნობს ნოკაუტის მოახლოებას. მას წონასწორობა უკვე დაკარგული ჰქონდა. არბიტრმა მერე შეწყვიტა ბრძოლა. გამარჯვება მინდოდა, მაგრამ მეტოქის განადგურების სურვილი არ მქონია.

ჩემპიონის მენეჯერი როკ ნიუმენი:

— თუ დოუქსს მაინცა და მაინც ნოკაუტი უნდა, მისი საქმეა. მაგრამ მე პირადად არ ვურჩევ განმეორებით შეხვედრაზე ფიქრს. ისინი განსხვავებული მოკრივეები არიან ასაკითაც და კლასითაც.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

სპორტული ეკრანი

გთავაზობთ ტელევიზიის საინტერესო სპორტულ გადაცემათა უახლოესი დღეების განრიგს.

„ოსტანკინო“

17 ივლისი. 8.30 სპორტ-შანსი. **16.55.** ულტრა-სი. **0.50.** სპორტული გადაცემა.

18 ივლისი. 10.30. „სპორტლოტოს“ ტირაჟი. **22.45.** სპორტული უიკ-ენდი.

19 ივლისი. 19.00. კალათბურთი. პროფესიული ლიგის I ჩემპიონატის ფინალური მატჩი: „სპარტაკი“ (სანკტ-პეტერბურგი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი). სანკტ-პეტერბურგიდან.

„როსია“

17 ივლისი. 18.05. ფეხბურთი საზღვრებს გარეშე. **23.30.** სპორტული კარუსელი. **23.35.** მსოფლიო ლიგის პირველობა ფრენბურთში. რუსეთი — იაპონია.

18 ივლისი. 15.05. მსოფლიო ჩემპიონატი მოტორბოლაში, ჰოლანდიის „გრან-პრი“. **23.30.** სპორტული კარუსელი. **23.35.** მსოფლიო ლიგის პირველობა ფრენბურთში. რუსეთი — იაპონია.

თბილისის სპორტკომიტეტი თანაუგრძნობს თანამშრომელს მანანა ლეჟავას დედის გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ☎ ტელეფონი: 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX
დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“.